



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/56

„ 5 „ ივნისი 2015 წ.

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის ზოგიერთი ქმედების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „დ1“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს:

ა) „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის საპრემიო ფონდის წლიური მოცულობა განსაზღვროს შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებულ თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოებისათვის წლის განმავლობაში გაწეული საკასო ხარჯის არა უმეტეს 40%-სა;

ბ) განსაზღვროს შესაძენი საწვავის ლიმიტი თვეში 36 100 ლიტრის ოდენობით;

გ) განსაზღვროს გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტი თვეში 11 850 ლარის ოდენობით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი